ელექტრონული ბიბლიოთეკა

№ 17 23 იანვარი, ოთხშაბათი. 1866--1880 23 იანვარი, ოთხშაბათი. № 17

# დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

ერევნის მოედანზე, შუბამზრის თავში მარცხნივ, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროების“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію Дроэба" - „Иверіи“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს: | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ოთხშაბათს, 23 იანვარს

ქართულ ტრუპისაგან

საზაფხულო თეატრში წარმოდგენილ იქნება

## ბენეფისი ქ. მესხისა

მონაწილეობას მიიღებს თ. აკაკი წერეთელი

I

## სქაპენის ცუღლუტობა

მოლიერის სამ-მოქმედებიანი კომედია გადმოკეთებული ქართულად თ. აკაკი წერეთლისაგან

II

## ბ უ ტ ი ა ო ბ ა

ვოდევილი ერთ-მოქმედებათ თ. აკ. წერეთლისა

ანტრაქტებში:

1) უფ. ვ. აბაშიძე იმღერებს კომიკურ კუპლეტებს,
2) გაბუნიას ქალი იმღერებს ქართულ სიმღერებსა და
3) ქ. მესხი წაიკითხავს იმერულ სცენებს.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსირთან და აზნაუროვის მაღაზიაში.

დაიწყობა 7½ საათზე

## ტელეგრამმები

—

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი 21 იანვარს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია: „ხელმწიფე-იმპერატრიცა მგზავრობაში კარგათ გრძნობს თავის თავს; მადა კარგი აქვს, ღამეც უფრო მოსვენებით სძინავს, გულის-მგერა ადრინდებულად აღარ აწუხებს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მზრუნველის განკარგულებით გაზეთს „გოლოსს“ აეკრძალა, ერთის თვის განმავლობაში, კერძო განცხადებების ბეჭდვა.

სტამბოლი, 19 იანვარს. საშინელი შიმშილობა არის აქ; საქმე იქამდინ მივიდა, რომ სტამბოლის ხალხი „წმინდა ფრინველს“ მტრედებს იჭერენ ბაიაზეთის მეჩეთზე და სჭამენ.

გუშინდელის ნომრისათვის დანიშნული მოწინავე სტატია, არ დაიბეჭდა რედაქციისაგან დამოუკიდებელის მიზეზის გამო.

## კავკასიის უნივერსიტეტი

ტფილისი, 22 იანვარს.

თვით მმართებლობის წარმომადგენელ პირმა, ჩვენს ქვეყანაში სწავლა-განათლების გამგემ უფ. იანოვსკიმ, რომელიც ჯერ ერთი წელიწადი არ არის, რაც დაინიშნა ამ თანამდებობაზედ, თვით ამანაც კი იგრძნო და დაინახა, რომ კავკასიაში უმაღლესი სპეციალური სასწავლებლების გახსნა აუცილებლად საჭიროაო. ამ მოკლე ხანში ადგილობრივ გაზეთებმა გვაცნობა ჩვენ, რომ უფ. იანოვსკის განზრახვა აქვსო, მთავრობასთან იშუამდგომლოსო, რომ თფილისში იქმნეს გახსნილი აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტი და ამას გარდა უმაღლესი ტეხნოლოგიური ინსტიტუტი.

თუ გუშინ ჩამოსული კაცი გრძნობს ამას, თუ ის, ჯერ ჩვენს ქვეყანაში უცხო პირი, ჰხედავს ამ საჭიროებას, რაღას უნდა გრძნობდეთ ჩვენ, კავკასიის მცხოვრებნი, რომელნიც მუდამ ვხედავთ—თუ რამდენი გვაკლდება იმით, რომ ჩვენში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ არის გახსნილი? რაღას უნდა ვგრძნობდეთ ჩვენ, რომელთაც თვალ-წინა გვაქვს ათასი მაგალითები, ათასი საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ ყოველს მხრივ დიდი და უანგარიშო დაბრკოლება ეძლევა ჩვენს მხარეს იმის გამო, რომ არც უნივერსიტეტი და არც ერთი უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი არა გვაქვს?!

რა მხრითაც გნებავთ, აიღეთ ეს საგანი, ყველა და ყოველაფერი გვეუბნება ჩვენ, რომ კავკასიას ცალკე უნივერსიტეტი ეჭირებაო.

ავიღოთ თუნდა თითონ ქვეყანა, როგორც ქვეყანა:

იმედია, არავინ კვეხნათ არ ჩამოგვართმევს, რომ ვსთქვათ, რომ კავკასიისთანა მდიდარი ქვეყანა რუსეთის თვალ-გადაუწვდენელ იმპერიაში სხვა არ მოიპოვება. მაგრამ მეორეს მხრით ისიც უნდა ვსთქვათ, რომ რუსეთში არ არის სხვა რომელიმე მხარე, რომლიდამაც ხალხსა და სახელმწიფოს ისეთი პატარა სარგებლობა და ნაყოფი გამოჰქონდეს თავის მდიდარს ბუნებიდამ, როგორც კავკასიის ხალხსა. მიწაზედ სიმდიდრე, მიწაში სიმდიდრე. უმეცარი, ულონო, უსაშუალო ხალხი ვერც ერთით ახერხებს სარგებლობას, ვერც მეორეთი.

კავკასიაში გახსნილი უნივერსიტეტი და უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი დაგვეხმარება ამ შემთხვევაში.

ხალხში გავრცელებულია სწავლის სურვილი; მცხოვრებთა რიცხვის შედარებით, რუსეთის არც ერთს მხარეში არ არის იმდენი მოსწავლეები რამდენიც კავკასიის სხვა-და-სხვა სასწავლებლებში ითვლება. პირველ-დაწყებითი, სასწავლებლები, საქალაქო შკოლები, სასწავლებლები, სამასწავლებლო სემინარიები, გიმნაზიები და პროგიმნაზიები ყველა სავსეა მოსწავლეებით და თითოეულ ამათგანს მუდამ წელიწადს ასობით აბრუნებენ უკან შაგირდებს, რომელთაც სწავ-

## მწიგნობრობა

—

მირიან მეფე და წმინდა ნინო.

(თხზულება დიმიტრი ბაქრაძისა, გამოცემული გ. ხუცისშვილისაგან, თფილისი, 1880 წ.).

უფ. დიმიტრი ბაქრაძის დაუცხრომელი შრომა საქართველოს ისტორიის შემუშავებაზე სწორეთ ღირს შესანიშნავია. როგორც განსხვავებულს ჩვენის დროის მეისტორიეს დიმიტრი ბაქრაძეს ყველა იცნობს ჩვენში. მაგრამ ბევრმა არ იციან თუ რა ღირსება აქვს იმის ისტორიულ გამოკვლევას.

ჩვენ უხვად გვაქვს ისტორიული თხზულებანი საქართველოს ძველს ცხოვრებაზე. „ქართლის ცხოვრება“ ძველთაგან არის შედგენილი; მეათე და მეთერთმეტე საუკუნის ქართველი მწერლები იხსენიებენ ამ მატიანეს. ბროსსესაგან გარკვეული „ქართლის ცხოვრება“ არის შევსებული გელათის მონასტრის მატიანებითა, აგრეთვე ვახტანგ მეფის დროს შედგენილის „ქართლის ცხოვრებითა“, ვახუშტის ისტორიითა და სხვ.; არის თეიმურაზის ისტორია, დ. ჩუბინოვისაგან გამოცემული მატიანები; ჩხეიძისა, ორბელიანისა, ომარ თარხნიშვილისა, ბოლოს სულხან ბარათაშვილის ისტორია და კიდევ სხვებისა. მაგრამ ყველა ეს თხზულებები ისეთ ნაირათ არიან დაწერილნი, რომ სად იწყება მართალი და სად ზღაპრული—კაცი ვერ გამოარჩევს. ამ მასალას უნდა კრიტიკულად გარჩევა და შევსება.

ეს უკანასკნელი დიდი მოვალეობა იდვა უფ. დიმ. ბაქრაძემ თავის თავზე. იმან აღიარა, რომ თუმცა საქართველოს ისტორიის მასალები ბევრი გვაქვსო, მაგრამ კრიტიკულათ გარჩეული და მეცნიერების საფუძველზედ დამყარებული ისტორია არა გვაქვსო. ის შეუდგა დიდი ხნიდგან ამ საგნის შესწავლას, შეუდგა ყოველ წერილობითი საბუთების გარჩევას, იმის გამოკვლევას თუ რამდენად მართალია „ქართლის ცხოვრების“ ნაამბობი, რამდენათ ეთანხმება ეს ნაამბობი ან ახლანდელს ეთნოგრაფიულს თვისებებს საქართველოს გვარებისას, ან ძველის ეკკლესიის და ისტორიულ სახსოვრების ზედ-წარწერებს, ან იმ ძველს გუჯრებს და სიგელებს, რომელნიც ასე უხვად მოფენილნი და მიმალულნი არიან სხვა-და-სხვა საქართველოს კუთხეებში.

ამას გარდა ის სხვა მეცნიერებთან ერთად შეუდგა ყველა სასაფლაოების გასინჯვას და რაც იქ საუცხოვო ხელოვნების ნივთები გამოჩნდა, დაიწყო იმათი დაწვრილებით შესწავლა და შეუდგა სხვების გამონაკვლევით და დაკვირვებით თავის ცოდნის შევსებასა.

ამითი კიდევ არ დააცხრო იმან თავისი მოღვაწეობა. რაკი რომ იმან კარგათ შეიგნო, თუ რა დამოკიდებულება ჰქონიათ უცხო ქვეყნის განათლებულს ტომებს ჩვენს ქვეყანაზე, როგორც მაგალითად, სომხებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მიღება ჰსურთ, რადგან სასწავლებელში ადგილი არ არის, რომ ყველა მსურველები დაეტიოს!

რამდენია კიდევ ისეთი, რომელიც არ ათავებს საშუალ სასწავლებელს მხოლოთ იმიტომ, რომ შეძლება არა აქვს, შემდეგ განაგრძოს სწავლა?

რამდენი, ისეთი, რომელიც ღონის-ძიებას პოულობს, მიდის რომელსამე უნივერსიტეტის ქალაქში იმ იმედით, რომ იქნება იქ ვიშოვნო უროკები ან სხვა რამ საქმეო, მაგრამ ვერ პოულობს ცხოვრებისა და სწავლისათვის საშუალებას და იძულებულია უკანვე დაბრუნდეს სწავლა-დაუსრულებელი?

კავკასიაში გახსნილი უნივერსიტეტი და უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი დაგვეხმარება ამ შემთხვევაში.

რამდენია ისეთი ახალგაზდა, რომელიც საშუალ სასწავლებელს ასრულებს ჩვენში, მერე რუსეთში მიდის უმაღლესის სწავლის მისაღებად; მაგრამ იქაური ჰაერი, იქაური ბუნება, იქაური ცხოვრების პირობანი ვერ აუტანია და უკან დაბრუნებულა?

რამდენია ჩინებული, ნიჭიერი და საიმედო ახალგაზდა დაგვეხოცა ჩვენ რუსეთის უნივერსიტეტში მხოლოთ იმის გამო, რომ კავკასიის ჩვეულ და ბედნიერ ბუნებას შეჩვეულმა იმათ აგებულებამ ვერ გაუძლო პეტერბურღისა და მოსკოვის სუსხ სიცივეებსა?

კავკასიაში გახსნილი უნივერსიტეტი და უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი დაგვეხმარება ჩვენ ამ შემთხვევაში.

ჩვენში მოიპოება თითო-ოროლა განათლებული კაცი, რომელთაც რუსეთში ან სამზღვარ გარეთ შეუსრულებიათ უმაღლესი სწავლა და შემდეგ თავის ქვეყანაში ჩამოსულან. მაგრამ შეხედეთ ახლა ამათ: ვერც სწავლა-განათლებით, ვერც განსაკუთრებული მოქმედებით, ვერც საზოგადოების სასარგებლოთ მოღვაწეობით ვერ შეატყობთ ამათ, რომ ესენი ერთ დროს სწავლა-მეცნიერების სათავეს დაწაფებიან, რომ ამათ მიუღიათ უმაღლესი სწავლა. ისეთივე ჩინოვნიკები, ვაჭრები, ანუ სოფლის მეოჯახეები გარდაქცეულან და შექნილან ესენი, როგორც სხვანი, რომელთაც სწავლა-მეცნიერებისათვის არც უსუნებიათ.

რისგან არის ეს? იმისაგან რომ უმაღლესის სწავლის მიღების შემდეგ, როცა თავის ქვეყანაში დაბრუნებულან, აქ, თავის სამშობლოში, ვერ უპოვნიათ იმათ ისეთი წრე, ისეთი საზოგადოება და ამხანაგები, რომელთთანაც შესძლებოდათ თავის რწმენათა და აზრების გაზიარება და თანაგრძნობა, რომელთანაც ერთად შესძლებოდესთ რომელიმე საზოგადო საქმის დაწყება და თაოსნობა. ისინი ხედავენ, რომ გარშემო ყველა ჯიბისა და მუცლის საქმეს მისდევს, რომ ყველა თავის კერძო სიამოვნებისა და ნეტარებისათვის ზრუნავს დღე და ღამე, და ძალა-უნებურად თვითონაც ამ გზას დაადგებიან ხოლმე.

კავკასიაში გახსნილი უნივერსიტეტი და უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი დაგვეხმარება ჩვენ ამ შემთხვევაში.

კავკასია არის შუაგული ადგილი, ცენტრი რუსეთის, ოსმალეთის და სპარსეთის სამზღვრებისა; სამას ვერსამდინ იმის ნაპირები შავს ზღვაზე მდებარებენ; ჩვენ ცხვირ წინ, ამბობენ, არხავეში, რომელიც სულ რამდენიმე ვერსის სიშორეზე ბათუმიდამ ფუძნდებიან და მყარდებიან ინგლისელები; ამათი მეზობლობა მოითხოვს ჩვენგან, რომ რუსეთი კავკასიაში მარტო თოფ-იარაღით, ხიშტებითა და სალდათების სიმრავლით არ იყოს ძლიერი, საჭიროა რუსეთს ჰქონდეს აქ ზნეობითი ძალა, საჭიროა ყვანდეს ინტელიგენცია, საჭიროა სწავლა-განათლებითა და კეთილ დღეობით იყოს ის კავკასიაში ძლიერი.

კავკასიაში გახსნილი უნივერსიტეტი და უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი დაეხმარება რუსეთს ამ შემთხვევაში.

(ხვალემდის)

## ახალი ამბები

თფილისის კლასიკურ გიმნაზიის მთავრობა გვიხატავს ერთობ ცუდ და გაჭირებულ მდგომარეობას ამ გიმნაზიაში მოსწავლე შაგირდებისა და აცხადებს სურვილს, რომ ამ შაგირდების შესაწევნელად დაარსდეს თფილისში ისეთივე საზოგადოება, როგორც თითქმის ყველგან არის გამართული ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს წინადადება ყოვლად საფუძვლიანია და ჩვენ ვინატრით, რომ ჩვენმა საზოგადოებამ მარტო ცარიელი თანაგრძნობა გამოუცხადოს ამ ჩინებულ საქმეს, არამედ თვით საქმითაც, მატერიალურად აღმოუჩინოს ამის განხორციელებას შემწეობა.

* * *

სიღნაღიდამ გვწერენ:

„წელს ძალიან დიდი თოვლი მოგვივიდა; ძალიან ცივა. ამბობენ, ვენახებს დიდ ზიანს მოუტანს ეს სიცივეო. საქონელი ბევრგან დამძვრალა, ნამეტნავად ცხვარი.

„ამასთან საშინელი სიძვირეა: საჟენი შეშა 30 მანეთად ისყიდება გირვანქა შაქარი 40 კაპ. ამას დაუმატეთ სახლის სიძვირეც: ისეთი ქირა დაადევს აქაურ სახლის პატრონებმა თავიანთ მიქცეულ-მოქცეულ და გაჭუჭყიანებულ სახლებსა, რომ ყელში არ ჩაუვა სინიდისიან კაცსა“.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**სურამი**, 17 იანვარი. დღესაც არ არის იმედი, რომ მატარებელმა გაიაროს ხაშურიდამ ბექათუბნამდინ. წუხელის თოვლი შესწყდა, ქარიც ჩავარდა. ვსთქვით: ეს არის, ახლა კი გვეშველაო. მაგრამ დილაზედ რომ წამოვდექით, ნაფოტ-ნაფოტა თოვლი მძიმედ, ნებიერად მოდიოდა ზეციდგან და დასავლეთის ქარი ზუზუნით შემოსძახებდა „ჰარიალალოს“. თუ მალე არ შესწყვიტა ამან თავის სიმღერა, ვამბობ, ვერც დღეს გადავა პოეზდი.

წუხანდელმა ამაგმაც უსარგებლოდ ჩაიარა: ტყვილად გადაყარა რკინის გზის გამგეობამ ერთი ტომარა ფული. ეს გამგეობა ძალიან გაჯავრებულია, რომ ამოდენა ფული ელუპება უსარგებლოდ. მაგრამ თავის ჯავრს იყრის გლეხ-კაცზედ, უენოზედ, ულონოზედ. და რა გასაკვირველია, რომ ეს ესე იყვეს. განა ყველა არა სჩაგრავს, განა ყველა თავში არ უკაკუნებს იმას? ნუ თუ რკინის გზის გამგეობა ფულს უჭერს გლეხ-მუშებსაო? მკითხავთ. არა, ის ფულს არ უჭერს, მაგრამ ის, თავის მოვალეობას როგორც წესია, ისრე არ ასრულებს: იმას ძალიან სუსტი ზედამხედველობა აქვს თავის ხელქვეითებზედ და რომ გაიგო, რას ჩადიან ეს უკანასკნელნი, მაშინ ისევ ის გამოვა, რომ რკინის გზის გამგეობა ფულს აკლებს გლეხ-კაცს.

რკინის გზის მასტერს ოთხასამდის მუშა უყენია; ის იმის მეტს არას ფიქრობს, რომ რაც შეიძლება მალე გავაწმენდინოვო გზა; მუშის დაწერაზედ კი როცა დროა თავს არ იწყალებს; ფეხებზედ ჰკიდია იმას გაუშვებს დაუწერალს ვისმეს თუ არა. გადის თვე ნახევარი; ფულს ურიგებენ (ერთის თვისას რომ აძლევენ, ნახევარ თვისა კიდევ რკინის გზაზედ რჩება), მაგრამ რად გინდა, საწყალმა გლეხმა ვერ მიიღო სრულიად თავისი ფული. წუწუნებს, მაგრამ იმას ვინ დაუჯერებს.. ხმას როგორ ამოიღებს კარგებსაც მიიღებს კისერში; და თუ მუშაობას თავი დაანება, ნახევარ თვის დარჩენილი ფული ღმერთს შესწიროს.

ამაზედ უარესი რამეებიცა ხდება ამ ალაგებში, მაგრამ, როგორც წელან მოგახსენე, ძალიან სუსტი ყურადღება აქვს მიქცეული რკინის გზის უფროსობას.

ხმიერიძე:

**ზუგდიდიდან**, 4 იანვარს. ჩვენ წინეთაც ქურდის სახელი გვერქვა და, როგორც სჩანს, ეხლაც გვგონია დამსახურებულია, რომ უმცროსიდან უფროსამდის ვქურდობთ და ვინც

---

სპარსელებს, ბერძნებს, რომაელებს, მდიდარს იტალიის რესპუბლიკებს საშუალო საუკუნეში, ბოლოს ახალ დროს ევროპის სახელმწიფოებს, მაშინვე შეუდგა ისეთ ენების სწავლას, რომელზედაც უფრო სრული მრავალგვარი ცნობები მოიპოება საქართველოს შესახებ. შეუდგა ამ ენებზე უცხო ქვეყნის მწერლების კითხვასა: რაც იმათ დაუწერიათ საქართველოზე, ყოველივე შეადარა „ქართლის ცხოვრების“ ნაამბობთან და ამ სახით დაიწყო ნათლისა და ჭეშმარიტების მოფენა ჩვენს ძველს ისტორიულს ცხოვრებაზე. არც ერთი წვრილმანი რამ ნათქვამი შემეცნება და ამბავი არ რჩება ამ კაცს, რომ კარგათ აწონილი და ნამდვილად გამოკვლეული არ ჰქონდეს. და სადაც კი ვერ შესძლებია ჭეშმარიტებით დამტკიცება ძველი ნაამბობისა, იქ პირდაპირ ეჭვს აცხადებს და საეჭვოთ უტოვებს შემდეგ შთამომავლობას.

სწორედ ამნაირი მეცნიერია ახლა საჭირო ჩვენის წარსულის ამბების განხილვისათვის. ჩვენ გვაქვს მრავალი ხელთ-ნაწერები, ხალხის თქმულებანი. მრავალი ძველებური ნაშთი, მრავალი აქამდის აუხსნელი კვალი უწინდელის საქართველოს დიდების და განათლებისა. მაგრამ ყველა ამაებს პოვნა უნდა, გამოკვლევა, გაჩხრეკა და დაფასება.

ახლანდელს დროში ჩვენ ისტორიის ბეჯითი მეძიებელი და მართლის მოყვარე კაცი გვინდა და არა ისტორიკოსი, რადგან ისტორიკოსობა ჩვენში ჯერ მოუხერხებელი საქმეა, სანამდის ამდენი ძველი ხელთ-ნაწერები და სახსოვრები გამოუძიებლათ ჰყრია. და მართლაც რომ ასეთი შეუდარებელი ისტორიის გამომძიებელია დიმ. ბაქრაძე ქართველებს შორის.

როგორც ყველა თხზულება ამ მეცნიერისა, „მ ი რ ი ა ნ მ ე ფ ე და წ მ ი ნ დ ა ნ ი ნ ო ც“ ისეთივე ბეჯითის თვისებით განირჩევა. ჩვენის მხრით მადლობის ღირსნი არიან გამომცემელნი, რომ უკისრნიათ დიმიტრი ბაქრაძის ისტორიულ თხზულებანის დაბეჭდვა.

მხოლოდ არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ გამომცემლებს, რომ იმათგან გამოცემულს დიმ. ბაქრაძის თხზულებას აკლია შნო და შიგა-და-შიგ ბევრი სტამბური შეცდომებია.

ეს წიგნი სრულებით არ არის სახალხო საკითხავი წიგნი; ეს არის მეცნიერული საფუძვლიანი გამოკვლევა მირიან მეფისა და წმინდა ნინოს დროებისა.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილი ავაზაკები არა ვართ, ქურდებს რაც შეიძლება შემწეობას ვაძლევთ.

ამ წასრულს თვეში, ერთის კვირის განმავალობაში, დაიკარგა ათამდის ცხენები და სხვა საქონელი, რომლის რიცხვი არ ვიცი.

ქურდობა დღემდინაც იყო ჩვენში, როგორც სხვაგან; იკარგებოდა საქონელი მხოლოდ საბალახო ადგილებიდან; მაგრამ როგორც ეხლა არის ამ საშინელს ზამთარში სახლში მოხტომა, სახლების გატეხა და დაკარგული საქონლის პატრონების კივილ-ჩხივილი ჩემს მახსოვრობაში არ მომხდარა.

როგორც ისმის, სხვა უეზდებში და მხარეებში ნაკლებათ არის ქურდობა და ზოგან თითქმის მოსპობილია, რადგანაც უეზდის უფროსები შედიან ხალხის მდგომარეობაში და ხმარობენ სხვა-და-სხვა საშუალებას ქურდობის მოსასპობელად. ჩვენში კი არას დროს არ მოისპობა ქურდობა და ან რა საშუალება უნდა იხმაროს საწყალმა ხალხმა, რომ ყველა უეზდებიდან ვინც გადაყარდნილი კაცები არიან, რომელთაც მმართებლობა სდევნის დასაჭერად, ჩვენში არიან მოგროვილი.

უფრო სამწუხარო ეს არის, რომ ეს ავაზაკები ისე უშიშრად და თამამად დაიარებიან ჩვენს უეზდში, რომ ხმის გამცემი კაცი არა ჰყავთ და ამის მიხედვით ბევრი ჩვენი უეზდიდამაც მოიპოება იმისთანა პირები, რომელნიც, შიშის გამო, აძლევენ შემწეობას და ღებულობენ იმათთან მონაწილეობას, რომ თავიანთი ოჯახი და ნათესავები მაინც დაიცვან ქურდობისაგან.

შესაძლებელია, რომ ამ გვარი მძიმე საქმე როგორც სახლის გატეხა და სახლში ღამით მოხტომა, რომლისათვისაც მტყუანი კანონით კატორღაში იგზავნება, არ ეხებოდეს პოლიციას, რადგანაც მე თვითონ მოწამე ვარ, რომ ამ წასრულს დღეებში მთხოვნელებს ამ საგანზედ არ მისცემია პოლიციისაგან არავითარი ჯეროვანი შემწეობა რაჭველებს, რომელთაც დღისით შუა-გულ მინდორში ზუგდიდის ქალაქიდამ შეიდ ვერსზედ დაეცნენ და წაართვეს ოც-და-ხუთი ღორი...

ს. ქ.

# უცხოეთი

—

**წვრილი ამბები.** ბერლინის გაზეთები იწერებიან 22 იანვარს: „წინადადება სამხედრო კანონების შეცვლის თაობაზე გადასცეს მოზავეთა საბჭოს კომმისიაში. ამას გარდა იქ იყო წარდგენილი ჯარის რიცხვი მშვიდობიანობის დროს, რომელიც მომავალში 401,000 მაგიერ, როგორც ეხლა არის, უნდა იქმნეს 427,250.

— ბერლინიდამვე იწერებიან, რომ პრუსსიის პალატში 20 იანვარს განხილულ იქმნა პროეკტი შესახებ იმ შემწეობისა, რომელიც უნდა მიეცეს ზემო სილეზიის დამშეულ ხალხს.

ამ სხდომაშივე წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა ერთმა პოლშელ დეპუტატმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ რაც უნდა ბევრი ვეცადოთ ამ პროვინციების განემენცება მაინც ვერ მოვახერხებთო.

— ინგლისურ გაზეთს „ტაიმსში“ იწერებიან ქაბულიდამ 16 იანვარს:

„მთელი მხარე ქაბულისა და ხაიბერის შუა ძალიან აღელვებულია. სულ ყოველ მხრით ისმის უსიამოვნობა იმის გამო, რომ ინგლისი აგვიანებს საქმეებს. იქ გავრცელებული ხმები, ვითომც ამ გაზაფხულზე რუსები აპირებენ ჯარით გამგზავრებას პელანში იქაურ ხალხის შესაწევნელათ.

—

რუსულ გაზეთებში იწერებიან ტელეგრამმას ლონდონიდამ 11 იანვარს, რომ ედინბურღის ჰერცოგი აპირებს პეტერბურღში წასვლას. ამის იქ წასვლას და ლობანოვ-როსტოვსკის ელჩათ დანიშვნას ინგლისში იმ მნიშვნელობას აძლევენ, რომ ვითომც რუსეთსა და ინგლისს შუა მეგობრული დამოკიდებულობა ჩამოვარდებაო.

—

პეშტის გაზეთში 20 იანვარს, დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური ამბავი ვენიდგან: ბუსინიის ჩაბარების შესახებ, ვენის კაბინეტის მოთხოვნილებით, ოსმალეთმა გაუგზავნა ბრძანება მუხთარ-ფაშას, რომელიც ეხლა პრიზრენდში არის, და იზზეტ-ფაშას, რომელიც სკუტარაშია, რომ გაგზავნონ ბუსინიაში კომმისია, რომელიც უნდა შესდგეს სამი სამხედრო და ორი სამოქალაქო პირებისაგან და მოსთხოვონ მათ ფორმალურათ, რომ ჩააბარონ ბუსინია ჩერნოგორიელებს. ადრინდელი ოსმალეთის მოთხოვნილება, რომ მთავარმა ნიკოლოზმა გუსინიის ჩაბარების თანავე დაუთმოს ქური-კრაინი რომელიც ოსმალეთს ეკუთვნის ჯერ-ჯერობით მიტოვებულია.

— ვენაში შედგენილ კომმისიის შესახებ ჩეხიელთა თხოვნის თაობაზე, 18 იანვარს იწერებიან ნემეცურ გაზეთ „პრესსში,“ რომ ამ კომმისიის მუშაობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩეხის ენა გაათანასწორონ ნემეცურ ენასთან, რომ ენა იხმარებოდეს სასამართლოშიც. შკოლების შესახებ კითხვებს არ ეხებიან. კომისსია შედგენილია მომეტებული ნაწილი იმ პირებისაგან, რომელთაც არ უნდათ სრულებით ჩეხების სიკეთე, მაგრამ მაინც ამ კომისსიას არ შეუძლია ეწინააღმდეგოს იმას, რაც კანონით მინიჭებულია, რომ სასამართლოში მოსამსახურე პირებმა ყველამ უნდა იცოდნენ ჩეხური ენა. მემორანდუმში გამოცხადებულია მოთხოვნილებანი ძნელათ რომ სისრულეში მოიყვანონ.

## წესდება მიხაილოვის სახელოსნო სასწავლებლისა

სახელოსნო სასწავლებლის დაარსება გადაწყვიტა ქალაქის საზოგადო კრებამ 1872 წელს 23 იანვარს, თ. ივანე დ. თუმანოვის თაოსნობით; სასწავლებელს დაარქვეს სახელად მიხაილოვისა, დ. მ, კავკასიის ნამესტნიკის ათის წლის იუბილეის სახსოვრად.

ამ სასწავლებლის ასაშენებლად იმ დროს ხელის-მოწერით მოგროვდა 26,000 მან.; ამ ფულითა და ქალაქის ხელოსნების მუქთი შრომით ააგეს სამ-ეტაჟიანი შენობა ხსენებულ სასწავლებლისათვის, რომელშიაც 200 შაგირდი დაეტევა.

აი წესდება ამ სასწავლებლისა, რომელიც ახლანდელმა ქალაქის გამგეობამ შეადგინა და გასულ ორშაბათის სხდომაზედ დაამტკიცა ქალაქის რჩევამ:

1) სახსოვრად იმისა, რომ დ. მ. კავკასის ნამესტნიკი ათის წლის განმავალობაში ვანაგებდა კავკასიის მხარეს, თფილისში არსდება მიხაილოვის სახელოსნო სასწავლებელი სხვა-და-სხვა ხელოსნობისათვის ხელოსნებისა და შაგირდების მოსამზადებლა.დ

2) სასწავლებელში ორ-გვარი სწავლა იქნება: საგნებისა და ხელოსნობისა. სწავლა ოთხ წელიწადს გაგრძელდება; უკანასკნელს კლასში თითქმის მხოლოთ სახელოსნოში.

ასწავლიან შემდეგ საგნებს:სამღვთო რჯულს, რუსულ ენას (ყველას), ქართულ ენას, სომხურს, არითმეტიკას, ხატვასა, წერას ხაზვასა და გეომეტრიას, ბუნების მეცნიერებას, ისტორიას, გეოგრაფიას, ბულგატერიას და ტეხნოლოგიას.

ყველა საგნების სწავლა სამშობლო ენაზედ უნდა იყვეს, რუსის შაგირდებისათვის რუსულად, ქართველებისათვის ქართულად და სომხებისათვის —სომხურად.

3) სასწავლებლის გამგეობა ქალაქის რჩევის მოვალეობაა. რჩევა მიანდობს სასწავლებლის ზედამხედველობას ცალკე კომიტეტს, რომელსაც ორის წლის ვადით ამოარჩევს. ქალაქის თავი ამ კომიტეტის თავს-მჯდომარედ ითვლება.

4) სასწავლებელი იხელმძღვანელებს იმ კანონებითა და წესდებითა, რომლითაც ხელმძღვანელობენ სხვა კერძო სასწავლებელნი კავკაზიაში.

5) სასწავლებლის გამგეობა და მართვა მინდობილი ექნება დირექტორს, რომელსაც კომიტეტი ამოარჩევს.

6) სწავლის საგნების განსახილველად, იქნება პედაგოგიური რჩევა, რომელსაც შეადგენენ ყველა მასწავლებელნი ამ სასწავლებლისა და აგრეთვე სხვა-და-სხვა ხელოსნობის ოსტატები. მასწავლებლების, ოსტატებისა და შაგირდების დათხოვნა კომიტეტზედ არის დამოკიდებული.

7) დირექტორის, ოსტატებისა და მასწავლებლების ჯამაგირები და აგრეთვე თვით სასწავლებლის ხარჯი მუდამ წელიწადს ქალაქის რჩევამ უნდა განსაზღვროს.

8) სწავლა და ხმარება ყოველგვარ სახელოსნო მასალებისა და იარაღებისა მუქთად ექნებათ შაგირდებს. ამას გარდა სასწავლებელში ექნებათ შაგირდებს უფულოთ საუზმე და სადილი.

9) სწავლა იქნება მთელი წლის განმავალობაში გარდა უქმ დღეებისა და კანიკულისა.

10) მუდამ წელიწადს მაისში შაგირდებს ექნებათ ეგზამენი ერთი კლასიდამ მეორეში გარდასაყვანად და აგრეთვე სასწავლებლიდამ გამოსაშვებად; ვინც კარგათ შეასრულებს სწავლას, იმათ მიეცემათ ხელოსნის (მასტერის) მოწმობა და ვინც სუსტად, იმათ კი შაგირდისა (პოდმასტერიე). კურს-შესასრულებელ ეგზამენის დროს მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ ნიმუშათ თავიანთი ხელით გაკეთებული რამ ნივთი.

11) სასწავლებლის შესანახავად დანიშნულია: ა) 8 მარტს 1873 წ. მთავრობისაგან გარდაწყვეტილი შესაწევნელი კაპიტალი (40,000 მან.), ბ) შაგირდებისაგან გაკეთებულის ნივთების გაყიდვიდგან შემოსული ფული და გ) რაც დააკლდება, დანარჩენს თვითონ ქალაქი მისცემს თავის საზოგადო შემოსავლიდამ.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა: რაც შაგირდებისაგან გაკეთებულის და გაყიდულის ნივთებიდამ წმინდა შემოსავალი დარჩება, აქედამ 1/2 დანიშნულია სასწავლებლის სასარგებლოდ, 1/4 იმ შაგირდებისათვის, რომელთაც ის ნივთები გააკეთეს და 1/4 სასწავლებლის ხელოსნობის ოსტატებისათვის.

12) ამ თავით სასწავლებელში შემოღებული იქნება შემდეგი ხელობის სწავლა: ა) ხუროობა, მებელის კეთება და ჩუქურთმა, ბ) მჭედლობა და გ) მხატვრობა და სახურავის ხელობა. შემდეგში, ქალაქის რჩევის გარდაწყვეტილებით, სხვა ხელობათაც შემოიღებენ.

(დასასრული შემდეგში)

## სამართალი

თფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში დანიშნულია შემდეგ პირების საქმეები განსახილველად:

24). ი ა ნ ვ ა რ ს

1). ზურაბა გორგაძისა—ბრალდება სავლე ლუკოვკინის გაცარცვა.

26). ი ა ნ ვ ა რ ს

1). კურბან ბაირამ-ოღლსა, გიგოლა აზნანარაშვილისა იოსებ კელენტარაშვილისა, რომელთაც ბრალდებათ თ. ჭორჯაძის გაქურდვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რედაქციისაგან

1880 წელს

## „დროება“-„ივერიის“ გამოცემაზედ

1880 წლის 1 იანვრიდამ გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „ივერია“ ერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე საზოგადო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი „დროება“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოთ ფორმატი (თაბახის სივრცე) უფრო დიდი ექნება. ჟურნალი „ივერია“ კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

### ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში: „დროება“ - „ივერიის“ რედაქციაში, ერევნის მეიდანზე, შუა-ბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: *Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.*

### ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს.. |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“, ერთად | — 13 მან. | — 7 მან. | — 4 მან |
| ცალკე: „დროება“ — — | — 9 „ | — 5 „ | — 3 „ |
| ცალკე: „ივერია“ — — | — 6 „ | — 4 „ | — 2 „ |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ეღირება —5 კაპეიკი.

— — „ივერიისა“ — 2 მანეთი.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება“-„ივერიისა“ { თ. ილ. ჭავჭავაძე. სერ. მესხი.

---

15 ნოემბერს ამ 1879 წელს თფილისში დაიწყო თავის მოქმედება „რწმუნებაზედ დამყარებულ ამხანაგობამ“ ფირმით

სავაჭრო სახლი

# იაგორ ქასუმოვი და კომპ

მიზანი ამხანაგობისა არის ყოველგვარ ადვილობრივ წარმებას დაეხმაროს.

**თავნი ფული ამხანაგობისა უნდა შესდგეს**

## 750,000 მანეთი

ეს ფული შესდგება პირველი რაზრიადის 1000 მანეთიანი პაებითა, რომელიც დანიშნულს ვადაზე უნდა შემოიტანონ და რომელსაც პრემია ეძლევა.

მეორე რაზრიადის პაები, რომელთაც მხოლოდ დივინდენდი (სარგებელი) ეძლევათ, არიან 500 მანეთიანი, 100, 50 და 25 მანეთიანი.

**ამ-თავით ამხანაგობა შემდეგ ოპერაციებს დაიწყებს:**

1) ასესხებს ფულს იმ პირობით, რომ სესხის ამღებმა დანიშნულ ვადაზე ნაწილ-ნაწილად გადაიხადოს ვალი.

2) იყიდის და გაჰყიდის სარგებლიან გარანტიის ბილეთებს.

3) შესანახავად მიიღებს ფულს.

4) იკისრებს ისეთს სავაჭრო და საწარმოვო საქმეებს, რომლის შემწეობითაც ამხანაგობას მიეცემა ღონის-ძიება, რომ აუცილებლად საჭირო საგნები გააიაფოს თფილისში.

**ამხანაგობა მიიღებს:**

სესხისთვის, რომელსაც თვეობით გადაიხდიან 8% წელიწადში.

— — კვირაობით გადაიხდიან 7% წელიწადში.

**თვითონ აძლევს:**

1. **დროებით შეტანილს ფულში** უპიროებოთ და პირობით } $4\frac{1}{2}$ პროცენტს.
2. **მოთხოვნამდინ შეტანილს ფულში**
3. **ვადით შეტანილს ფულში:** 6 თვით — 5 პროც.
   9 თვით — 6 „
   1 წლით და მეტით — 7 პროც.

უმთავრესი კანტორა სავაჭრო სახლისა გაღებულია დილის 8 საათიდამ ნაშუადღევის 2-მდინ და საღამოს 6 საათიდამ 8-მდინ. უქმ დღეებში კი დილის 8 საათიდამ დილისვე 10-მდინ.

# განცხადებანი

კერძოობითი

გრ. ჩარკვიანის ქართულ წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი **ახალი ქართული წიგნები:**

**ლექსნი თ. გრ. ორბელიანისა**

მეორე გამოცემა დამატებით, თფილის 1878 წლის ფასი ექვსი შაური.

**მირიან მეფე და წმ. ნინო.**

შედგენილი დიმ. ბაქრაძისა, გამოცემული გიორგი ხუცის-შვილის-მიერ, თფ. 1880 წლის. ფასი ორი შაური.

**დაბადლაღუას საუბარი**

სომხურიდგან ნათარგნი გრ. წინამძღვაროვისაგან. გამოცემული გიოგი ზალიკანოვის-მიერ თფილისი, 1880 წლის. ფასი ერთი აბაზი.

**ქართული გამოცანაები**

შეკრებილი თ. რაფ. ერისთვისაგან თფილისი, 1880 წლის. ფასი ორი შაური.

(4—2)

---

სახაზინო

**კავკასიის საინჟინერო უპრავლენიაში** მომავალი თებერვლის 7-ს დანიშნულია ვაჭრობა (მხოლოთ ერთხელ) შემდეგ მუშაობის იჯარით მიცემაზედ ქ. თფილისში:

1) უნდა აშენდეს სახლი თფილისის არტილლერიის სახელოსნოს ცეცხლის საქრობ მაშინისათვის. ამისათვის დანიშნულია 3,192 მან. 51 კაპ.

2) ამ არტილლერიის სახელოსნოს გარშემო უნდა გაკეთდეს ღობე—2,356 მან. 64 კაპ.

3) ამავე სახელოსნოსათვის უნდა აშენდეს ფეხის-ადგილები—5,341 მან. 23 კაპ.

4) უნდა აშენდეს ფეხის-ადგილები თფ. პოლკის ყაზარმებისათვის—5,838 მან. 47 კაპ.

5) უნდა გაკეთდეს სარდაფი, შემისათვის შესანახი და საკუჰნაო ოთახი ინჟინერის უპრავლენიის მწერლებისა და კონდუქტორებისათვის — 1,439 მან. 70 კაპ.

ვისაც ამ საქმის იჯარით აღება ჰსურს, დაწვრილებითი პირობებისა და სმეტის ნახვა შეუძლიან საინჟინერო უპრავლენიაში დილის 9 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 3 საათამდინ.

(3—1)

---

**თფილისს გუბერნიის სამართველო** (პრავლენიე) აცხადებს, რომ ამა 1880 წლის 8 თებერვალს დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი) იმ სახელმწიფო ზვარის გასყიდვაზედ, რომელიც მდებარებს თელავის უეზდის სოფ. კონდოლში და რომელიც შეიცავს 2, 200 ოთხ-კუთხ საჟენს. ვაჭრობა დაიწყება 1, 200 მანეთიდამ. სამი დღის შემდეგ ხელ-მეორედ ვაჭრობა იქნება.

(3—3)

---

**კავკაზიის აქეთა მხრის პრიკაზი** საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1880 წლის 18 თებერვალს ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში გაისყიდება ქუთაისის მცხოვრების სალომე ყაუხჩოვის მამული სახლი რომელიც 5, 000 მანეთად არის დაგირავებული 1872 წლის პრიკაზში. ვისაც ამ მამულის დაფასებით სიის ნახვა ჰსურს, შეუძლიან ყოვკლგვარი ცნობები მიიღოს ქუთ. გუბ. სამმართველოდამ.

(3—3)

---

**კავკასიის აქეთა-მხრის პრიკაზი** აცხადებს, რომ ამ თებერვლის 4-ს გაისყიდება შემდეგ პირთა უძრავი ქონება (სახლები), თავის დროზედ პრიკაზის ვალის გადაუხდელობისათვის; სამის დღის შემდეგ ხელ-მეორედ იქნება ვაჭრობა.

1). ამალია ვერჟბიცკის სახლი, თფილისში, 2 განყოფილების 11 უჩასტკაში, ელიზავეტის ქუჩაში, რომელიც ალ. ლიპინსკის ეკუთნის, 1871 წ. 4, 500 მან. და 1875 წ. 1, 250 მან.

2). ანნა როგოვენკის სახლი, თფილისში, 2 განყოფ. 11 უჩასტ. კოროჩნის ქუჩაზე, 1872 წ. 6, 000 მან., 1873 წ. 1000 მან., 1875 წ. 4, 315 და 1876 წ. 3, 000 მან.

(3—3)

---

**კავკასიის პრიკაზში** 11 თებერვალს ამ 1880 წ. იქნება ვაჭრობა ქვემო მოხსენებულ პირთა უძრავ ქონების გასყიდვაზედ თავის დროზე პრიკაზიდამ აღებულის ვალის გადაუხდელობისათვის. სამი დღის შემდეგ ხელ-მეორედ ვაჭრობა იქნება:

1). ივანე ბაბიევის სახლი 1 განყოფ. 2 უჩასტკაში, 1879 წ. 1, 400 მან.

2). მარიამ დემეროვის სახლი 2 განყოფ. მე-14 უჩასტ. 1870 წ. 300 მან.

3). თფ. მოქალაქის ასლან ოქოევის, 1 განყ. უჩასტკ. 1872 წ. 3, 750 მან.

4). თფ. მოქალაქის ხაბიბელა ალიბეგ ტრეგულოვის სახლი, ჩუღურეთში, 1875 წ. 4,400 მან. და 1877 წ. 1000 მან.

5) თფ. მოქალაქის გრიგოლ თოროხოვის სახლი, ავლაბარში, 1875 წ. 1,200 მან.

ვისაც ამ სახლების ჰყიდვა ჰსურს, დაწვრილებითი პირობა და აგრეთვე დაფასებითს სიები პრიკაზში ნახოს.

(3—3)

Дозволено ценвурою. Тифлисъ, 21 Января 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.